ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2021 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მერიისა და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებითა და სხვა ადმინისტრაციული აქტებით. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 აპრილის 7 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა განისაზღვრა პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეთა 85 საშტატო ერთეულით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 48 ერთეულით. აქედან საშტატო ერთეულით დასაქმებულია 70, ვაკანსია არის 15. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით - 45, ვაკანსია - 3. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განსაზღრულია 44 ერთეულით და დასაქმებულია 42 პირი. ადმინისტრაციული სამსახური აერთიანებს 5 განყოფილებას.

2021 წლის 11 ივნისიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მუშაობა განაახლა ახალ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში- MSDA. .

2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 6731 კორესპოდენცია. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა - 6417. ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი - 2471 ბრძანება, საკუთრების უფლებისაღიარების კომისიის - 118 განკარგულება. სამსახურებრივი შიდა მოძრაობის - 1470 წერილი. სოციალურ საკითხებზე შემოსულია - 2615 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -197 განცხადება.

მერიის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენის პროცესს.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის

საფუძველზეც 2020 წლის 6 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება(პირველი კლასი) პროფესიულ საჯარო მოხლეებზე.

მიმდინარე წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა 5 კონკურსი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ადმინისტირებას უწევს ვებ-გვერდს www.kharagaulinews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ასევე ხდება სოციალური ქსელების (მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ჯგუფის) ადმინისტრირება. იქმნება მონაცემთა ბაზა მერიის საქმიანობის განხორციელებისას დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე, იქმნება არქივი და ხდება ინფორმაციის ანალიზი. განყოფილების საქმიანობაში შედის ყოველკვირეულ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში ყოველდღიური ინფორმაციის მიღება, ასევე ხარაგაულში მომხდარი სიახლეების, სამომავლო პროექტების დამუშავება და საზოგადოებისთვის გაცნობა. 2021 წელს ხარაგაულის_მერიამ მოქალაქეებს შესთავაზა ახალი ელექტრონული პლატფორმა , „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“ (LDA Georgia) მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის ბმულის სახელია - „მოქალაქეთა უკუკავშირი /Citizens feedback“ რომელიც ჩვენ ვებ გვერდზე kharagaulinews.gov.ge განთავსდა. ახალი ონლაინ პლატფორმის მიზანია მოქალაქეების მხრიდან შეფასდეს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები და პროგრამები. ხარაგაულის მერია კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას, ეფექტურად იყენებს მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად. აქტიურად ხდება ყველა მიმდინარე პროცესების და პრობლემატური საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ასევე საზოგადოებისათვის ხარაგაულის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი შესაბამისი სამსახურების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განმარტება, მერის და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, ხარაგაულის მოსახლეობისათვის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრების მომზადება და ჩატარება, მედიამონიტორინგი (საინფორმაციო საშუალებების ზოგადი ანალიზი) და საჭიროების შემთხვევაში მათზე რეაგირება, ხარაგაულის მერიის პოზიციის გამოხატვისათვის და საზოგადოების სწორი ინფორმირებისათვის.

წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილება თავის კომპეტენციის ფარგლებში ახდენდს საკრებულოს, გამგეობის და ადგილობრივი სამსახურების საინფორმაციო მომსახურებას, კონტროლს უწევს ტერიტორიულ ერთეულებში სამართლებრივი აქტებისა და სხვა დავალებების დროულ შესრულებას, ხ ოლო ორგანიზებას ადმინისტრაციული ერთეულების ურთიერთობას მერიასთან, საკრებულოსთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან. აქტიურად თანამშრომლოს

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სამოქალაქო რეესტრთან, საგზაო დეპარტამენტთან, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტთან, რკინიგზის დეპარტამენტთან , სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოებთან და ასე შემდეგ. განმარტებას აძლევს მოქალაქეებს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა ადმინისტრაციული აქტების პროექტები, დასკვნები და სხვადასხვა სახის წერილობითი ინფორმაციები. გამგებლის წარმომადგენლებთან ხდება პიროვნებების იდენტიფიცირება და ვადის დაცვით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა. ასევე საჭიროების შემთხვევაში სსიპ „ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაგაულის სამოქალაქო რეესტრი“-ში იგზავნება ოქმები პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ.

განყოფილების მუშაკების მიერ ტარდება კონსულტაციები მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან საქმის წარმოების საქმეში კანონმდებლობით დადგენილი წესების განსახორციელებლად და „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნათა შესასრულებლად. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ ცვლილებებს საშეშე ბარათების მთხოვნელ მოქალაქეთა სიებში რომელიც დროულად ეგზავნება სატყეო დეპარტამენტს. საანგარიშო პერიოდში პასუხი აქვს გაცემული 3137 წერილს: საჯარო რეესტრიდან, სამოქალაქო რეესტრიდან, საგზაო და სატყეო დეპარტამენტებიდან, გაზპროქტიდან , მოქალაქეებიდან.

იურიდიული განყოფილების მიერ მომზადებული იქნა მერის სამართლებრივი აქტის პროექტები, ასევე შესწავლილი და შეთანხმებული იქნა მერიის სხვადასხვა სამსახურების მიერ მომზადებული მერის სამართლებრივი აქტების პროექტები, ხდებოდა მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სხვადასხვა-ინსტანციის სასამართლოებში, ასევე მზადდებოდა შესაგებლები და სარჩელები როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამოქალაქო საქმეებზე. განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში, სადაც კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრი იყო განყოფილების თანამშრომლები სადაც 2021 წელს მოხდა 119 განაცხადის დამუშავება, მიწის ნაკვეთების ადგილზე დათვალიერება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, ასევე იურიდიული განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილ საბჭოს მუშაობაში, სადაც საბჭოს თავმჯდომარე და წევრები არიან განყოფილების თანამშრომლები და 2021 წელში მოხდა 195 საქმის განხილვა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პირის სტატუსის მინიჭებას ასევე მინიჭებული სტატუსის შეწყვეტას. ასევე განყოფილება მონაწილეობას იღებს მერიაში შექმნილი სხვადასხვა

კომისიების საქმიანობაში. იურიდიული განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაწეული იქნა სამართლებრივი კონსულტაციები.

ხარაგაულის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ ფუნქციონირება დაიწყო 2021 წლის 1 აპრილიდან.განყოფილება დაკომპლექტებულია 2 საშტატო ერთეულითა და 2 ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლით - განყოფილების უფროსი, ორი სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. აქტიურად მიმდინარეობს განყოფილების თანამშრომლების სერტიფიცირების და გადამზადების კურსები, ტრენინგები შესაბამის სფეროში. მონაწილეობენ ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ადმიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ ჩატარებულ სხდომებში, სადაც, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე ვეცნობით არსებულ გამოწვევებს და ვსახავთ სამომავლო გეგმებს.

1 აპრილიდან დღემდე მომართვიანობის საფუძველზე განყოფილებაში განხილულია 20 ქეისი(ბავშვთა უფლებების დარღვევა, ბავშვთა მხარდაჭერა) ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება, ჯგუფური გასვლა და ადგილზე მდგომარეობის გაცნობა. სოც მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე დადებულია დასკვნა. ზოგიერთ შემთხვევაზე საქმე არ დახურულა, რაც იმას ნიშნავს რომ ქეისები მიმდინარეა და განყოფილების თანამშრომლების მხრიდან მიმდინარეობს ასეთი ოჯახების და ბავშვთა მონიტორინგი. განათლების სამინისტროსთან ერთად განვახორციელდა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგი. კერძოდ, მოვახდა ისეთი მოზარდების იდენტიფიცირება, რომლებსაც მიუხედავად სასკოლო ასაკისა, არასდროს ჰქონიათ მოსწავლის სტატუსი და არ ირიცხებიან არცერთ სკოლაში. მოვიკვლეულია ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, რის გამოც აღნიშნული მოზარდები არ ირიცხებიან ფორმალური განათლების სისტემაში. შესაძლებელია თუ არა მათი ზოგადი განათლების სისტემაში ინტეგრაცია, თუნდაც დისტანციური სწავლების ფორმით. მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებასთან ერთად შეიმუშავებს ისეთ პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ასეთ ბავშვთა განათლების და განვითარების პროგრესის მხარდაჭერას. მოხდა ერთი არასრულწლოვანი ბენეფიციარის ჭიათურის სპეციალურ საჭიროების მქონე სკოლა-პანსიონში გადაყვანა, სადაც მოზარდის სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნავენ და მუშაობენ სპეც პედაგოგები. ჩატარდა ბორის სკოლა პანსიონის მონიტორინგი. განვახორციელდა ვიზიტები იმ ბენეფიციარებთან, რომლებიც სარგებლობენ პანსიონური მომსახურებით და არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი. საკრებულოს წევრებთან ერთად მოხდა პანსიონის ინფრასტრუქტურის დათვალიერება. შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ხარაგაულის მერის გადადწყვეტილებით, უახლოეს

პერიოდში გამოცხადდება ტენდერი სველი წერტილების მოწესრიგების მიზნით.
ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართულობით მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აღირიცხა და შეიქმნა ისეთი ოჯახების ბაზა, სადაც ცხოვრობენ არასრულწლოვნები. საამისოდ შევიმუშავებულია არასრულწლოვანთა მხარდაჭერის პროგრამა. დაწყებულია არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის შექმნა (სტატუსიანი, უსტატუსო) რომლის დასრულების შემდეგაც იგეგმება პროექტის განხორციელება მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით და ყველა შშმ პირთან ვიზიტი, რათა ადგილზე იქნას შევისწავლილი მათი საჭიროებები, რაც მომავალში „world vision Georgia“ -სა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა.